

სქრინინგის ანგარიში

1. მოკლე ინფორმაცია პროექტის შესახებ

სქრინინგის შეფასების ანგარიში ასევე მოიცავს:

დანართ 1-ს (მთლიანი ბაღის სიტუაციურ რუკას);

დანართ 2-ს (წყალაღების წერტილიდან საპროექტო ხაზობრივი ნაგებობის დერეფნის სიტუაციური რუკა);

შპს "აჭარა აგროჯგუფი" 445595384 ეობუღეთის მუნიციპალიტეტ დაბა ოჩხამურის სოფელ ცეცხლაურში თავის მფლობელობაში არსებულ ნაკვეთზე ს/კ 20 37 03 050; 20 37 03 066; 20 37 03 048; აპირებს მოაწყოს ლურჯი მოცვის პლანტაცია. (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ სარგებლობაში არსებული ქონების იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება #01, დამოწმების თარიღი 03/05/2022, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 20 37 03 050; 20 37 03 066; 20 37 03 048; გეგმავს ლურჯი მოცვის სარწყავი სისტემის მოწყობას.

ბაღის შენდება სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებით და ასევე იაფი აგროკრედიტის დახმარებით.

პლანტაციის გაშენება-მოწყობისათვის და შემდგომი ექსპლოატაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მორწყვის პროცესს, როგორც პლანტაციის განაშენიანებისას ასევე პლანტაციის ექსპლოატაციისას, განსაკუთრებით, გვალვის პერიოდში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოეწყობა წვეთოვანი სარწყავი სისტემა და მორწყვისათვის საჭირო წყლის აღება მოხდება ჭაბურღილიდან.

ბაღში მოყვანილი პროდუქცია რეალიზებული იქნება, გარე და ასევე ადგილობრივ ბაზარზე.

კომპანია ლურჯი მოცვის პლანტაციის მოწყობას გეგმავს კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე 10,5 ჰა პლანტაციას რომელზეც დაირგვება 35000 ნერგი.

პლანტაციის გაშენებისათვის და ექსპლოატაციისათვის განსაკუთრებით წლის გვალვიან პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მორწყვის პროცესს, რომელიც ხორციელდება წვეთოვანი სისტემის გამოყენებით. რისთვისაც საჭიროა პლანტაციის ტერიტორიის უზრუნველყოფა საკმარისი სარწყავი წყლით.

პლანტაციის გაშენების ადგილის კლიმატის, ასევე, ლურჯი მოცვის გაშენება-მოყვანის სპეციფიკის თანახმად, ერთი ერთეული ლურჯი მოცვის ნერგის მოსარწყავად საჭიროა 1 დღეში 5 ლიტრი წყალი. 35000 ნერგისათვის საჭირო იქნება 175000 ლტ. წყალი, რაც შესაბამისად შეადგენს დღე-ღამეში 175 მ³-ს.

პლანტაციის მორწყვა განხორციელდება ზაფხულის პერიოდში 8 თვის (მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი) განმავლობაში და არაწვიმიან დღეებში. საშუალოდ უწევს სულ 200 დღის განმავლობაში. აქედან გამომდინარე მთლიანი ბაღის მორწყვის პროცესისათვის წლიური საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს 35000 მ³ წყალს.

პლანტაციის მორწყვის წლიური ციკლი იწყება მაისის თვიდან და სრულდება ოქტომბრის ბოლოს.

2. პროექტის განხორციელების ადგილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ოჩხამურის სოფელი ცეცხლაური
(დანართი N1 - სიტუაციური გეგმა)

ქობულეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მისი ფართობი შეადგენს 711.8კმ².

ქობულეთის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილოეთით გურიის ქედი, მდინარე ჩოლოქი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტი; აღმოსავლეთით შუახევის და ქედის მინიციპალიტეტები ხოლო ჩრდილოეთით – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა წელიწადში 2500-3000 მმ-ს უდრის. მაქსიმუმი მოდის სექტემბერზე, ხოლო მინიმუმი – მაისზე. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 13-15 გრადუსს აღემატება. მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია ნიადაგების მრავალფეროვნება: ზღვისპირა დაბლობებში ტორფ-ჭაობიანი ნიადაგებია, ხეობებში ალპური ქანებია, გორაკ-ბორცვიან ზოლში გავრცელებულია წითელმიწა-ნიადაგები, ხოლო უფრო მაღალ ადგილებში გაეწრებული ნიადაგებია, სადაც კარგად ხარობს სუბტროპიკული კულტურები.

ჰავა ხასიათდება სუბტროპიკული ნოტიო კლიმატით. ნალექების საშუალო წლიური ოდენობა შეადგენს 2100 – 2800 მმ-ს. საშუალო წლიური ტემპერატურა +12–14 0C-ია, შესაძლებელი მაქსიმუმი – +39 0C, ხოლო შესაძლებელი მინიმუმი – -10 0C. ქარის საშუალო სიჩქარე შეადგენს 3,2 მ/წმ-ს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში შედის 1 ქალაქი, 2 დაბა და 18 სოფელი. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 74 794 კაცს.

3. მონაცემები პროექტის განხორციელების შესახებ მოცემულია ცხრილი N1-ში

ობიექტის დასახელება	შპს "აჭარა აგროჯგუფი" 445595384
ობიექტის მისამართი:	
ფაქტობრივი	ქობულეთის მუნიციპალიტეტ დაბა ოჩხამურის სოფელი ცეცხლაური
იურდიული	საქართველო, ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ., N4, ბ. N306, ბლოკი "B"
საიდენტიფიკაციო კოდი	445595384
ობიექტის ხელმძღვანელი:	დირექტორი
გვარი, სახელი	ზურაბ დუმბაძე 61003001790
ტელეფონი:	577 908 003
ელ-ფოსტა:	Shota776.sm@gmail.com
ეკონომიკური საქმიანობის სახე	სოფლის მეურნეობა
საქმიანობა	ლურჯი მოცვის მოვლა მოყვანა

4. წყალაღების კოორდინატები: X-738353, Y-4639406

წყალაღების ობიექტის დახასიათება: სარწყავი წყლის აღება განხორციელდება **ჭაბურდილიდან**, რომელიც მდებარეობს კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე. ჭაბურდილის მოწყობამდე კომპანიამ ჩაატარა ჰიდროგეოლოგიური კვლევა თავისი მიწის ნაკვეთის რათა შეექმნა მიწის ქვეშა წყლების

ჰიდროლოგიური რუკა, დებეტის და სიღმეების გათვალისწინებით. ამის შემდეგ სპეციალისტების მიერ განისაზღვრა ყველაზე ოპტიმალური წერტილი ჭაბურღილის მოსაწყობად, შემდეგ კოორდინატებზე: **X-738353, Y-4639406**; ამის შემდეგ მოხდა ჭაბურღილის გაბურღვა და როგორც მოსალოდნელი იყო საკმარისი წყლის რაოდენობის ამოსვლა მოხდა 100 მეტრის სიღრმეზე, ასევე მოხდა ფაქტობრივი დებეტის განსაზღვრა, რომელიც ასევე მოსალოდნელ დიაპაზონში აღმოჩნდა და შეადგინა 5-6 კუბი საათში. მოხდა ასევე წყლის ქიმიური, ბიოლოგიური და რადიაქტიული შედგენილობების კვლევა, რითიც დამტკიცდა მისი ლურჯი მოცვის სარწყავად გამოყენებისთვის შესაბამისობა. წყლის აღება მოხდება ელექტრო ტუმბოთ რომლის წარმადობაა 5-6 კუბ/სთ-ში. მოხმარებული დენის სიმძლავრე 7 კვტ./სთ. აღნიშნულ ჭაბურღილზე დაწყებულია სასარგებლო წიაღისეულის აუქციონის წესით შესყიდვის პროცედურები, კერძოდ მესაკუთრის განაცხადი გაგზავნილია და ველოდებით აუქციონზე მის განთავსებას.

ჭაბურღილიდან 130 მეტრში მდებარეობს **წყლის რეზერვუარი X-738432, Y-4639306**, რომლის მოცულობა (წყლის ტევადობა) არის 220 კუბური მეტრი: მას 3 მეტრი სიმაღლე და 5 მეტრი რადიუსი აქვს. რეზერვუარი გაშენებულია მყარ გრუნტზე, ის დგას 20 მ-იანი რკინაბეტონის ფილაზე, ხოლო კედლები შედგება ლითონის ცილინდრული კონსტრუქციისგან. რეზერვუარში შიგნიდან ჩაფენილია წყალგაუმტარი საფენი ე.წ. ლაინერი. რეზერვუარი გაშენებულია მიწის ნაკვეთზე რომელიც შეადგენს 80 კვადრატულ მეტრს, წყლის ნაკადის მიწოდება მოხდება მაგისტრალური 110, 90 და 75 მმ. დიამეტრის მილებით.

5. სარწყავი სისტემის აღწერა

ჭაბურღილიდან 130 მ-ით იქნება დაშორებული **წყლის რეზერვუარი X-738432, Y-4639306**; შექმნილ რეზერვუარში ჩაეფინება ე.წ. ლაინერი, რომელიც არის წყალგაუმტარი და აქვს ექსპლოატაციის ხანგრძლივი პერიოდი. ლაინერის ფუნქციაა შეინარჩუნოს წყლის სისუფთავე სხვა ფიზიკური მინარევებისგან, რაც გააძნელებს წყლის გაფილტვრას. წვეთოვანი მილები რომლებითაც იგეგმება მცენარეების მორწყვა არის აღჭურვილი სპეციალური წნევის კომპენსირებადი მემბრანებით, რომლებიც განლაგებულია 16 და 20 მმ-იან პოლიეთილენის მილში ყოველ 30 სმ დაშორებით. აღნიშნული მემბრანაში წყალი გაივლის მრავალ ლაბირინთულ გზას სანამ გარეთ საწვეთურიდან გამოწვეთავს, ამ მეთოდით ხდება მაღალი წნევის დაგდება იმისათვის, რომ არ მოხდეს წნეების სხვადასხვაობის გამო საწვეთურებიდან სხვადასხვა რაოდენობის წყლის გამოსვლა, სწორედ ამ მემბრანების გამო უნდა მოხდეს სარწყავი წყლის იდეალური ფილტრაცია, რადგანაც არნიშნულ მემბრანებში მიწის ნაწილაკების მოხვედრის შედეგად ადვილი შესაძლებელია მათი გაჭედვა.

წყლის რეზერვუარიდან წყალი გამოედინება შემწოვ სატუმბოში რომელიც განთავსებულია **უშუალოდ რეზერვუართან: X-738432, Y-4639306**;

- **შემწოვი ტუმბო** 7 კვტ./სთ 5 ტონა/სთ წრმადობით 1 ერთეული **X-738432, Y-4639306**; ;
- შემწოვი სატუმბიდან წყლის ნაკადი 220 მმ-იანი მილით შევა **ფერტიგაციის სადგურში**, რომელიც განთავსდება ტუმბოსგან 15 მეტრის დაშორებით **X-738434, Y-4639319**.

საფილტრაციო სისტემები: ერთი ერთეული ქვიშის და ერთი ერთეული დისკური ფილტრით;

- სასუქების გამხსნელი ორი რეზერვუარი;
- სისტემაში სასუქებიანი წყლის შემრევი მოწყობილობები;
- პროგრამული კონტროლერი;

გამოყენებული იქნება წყალში კარგად ხსნადი სასუქები რომლებიც არ შეიცავენ ბალასტს. ოთხი სასუქის გამხსნელი რეზერვუარი არის საჭირო იმისათვის რომ არ მოხდეს სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის სასუქების ერთი და იგივე რეზერვუარში მომზადება მათი შემდგომი შესაძლო

ქიმიური რეაქციის თავიდან ასაცილებლად. სასუქების სისტემაში გაშვება მოხდება თანმიმდევრულად ერთი მეორის მიყოლებით, შუალედებში მოხდება სუფთა წყლის გავლება რათა არ მოხდეს ნარჩენი სასუქების ერთმანეთთან შეხება.

ფერტიგაციის სადგურიდან მოცვის ნარგავებამდე წყლის ნაკადის განაწილება მთელი ფართობზე მოხდება:

- მაგისტრალური მილებით Egeplast, თურქეთი: 200,160,140,125,110,90 მმ. დიამეტრით.
- დამხმარე მილებით Egeplast, თურქეთი 125,110,90,75,63,50 მმ. დიამეტრით.
- წვეთოვანი მილები 16 მმ. დიამეტრით.

მაგისტრალური და დამხმარე მილები ჩალაგებული იქნება 50 სმ სიღრმის ტრანშეაში. გათხრილი ტრანშეადან ამოღებული მიწის მასა, მას შემდეგ რაც მოხდება მასში ზემოთ აღნიშნული მილების ჩალაგება, იქნება ჩაყრილი ისევე იმ ტრანშეაში საიდანაც მოხდა მისი ამოღება. ჩაყრის მეთოდი განისაზღვრა შემდეგნაირად: ამოთხრილი მიწის ზედა ფენა (30 სმ) ე.წ. ჰუმუსოვანი ფენა დაიყრება განცალკევებით ქვედა ფენისგან. ტრანშეაში მილის ჩადების შემდეგ ჩაიყრება ჯერ ქვედა ფენა, ხოლო ზემოთ დაეყრება ამოთხრისას (30ს სმ) დან ამოღებული მიწის ფენა - ჰუმუსი. აღნიშნული სამუშაოებისათვის მოხდება ოთხბორბლიანი ექსკავატორის გამოყენება 15 დღით.

წვეთოვანი მილების მაქსიმალური სიგრძეა 120 მ., ხოლო მინიმალური სიგრძე 10 მეტრი. წვეთოვანი მილები ჩატანებული იქნება ე.წ. ბაზოკვლებში, ბაზოკვალი წარმოადგენს 40-45 სმ-ის შემადგენელ ნოყიერი ნიადაგისგან შემდგარ მიწაყრილს, რომლის ძირის მაქსიმალური სიგანე არის 1 მეტრი და რომელზეც გადაფარებულია პოლიეთილენის ფირი ე.წ. აგროქსოვილი წყლის აორთქლების შესამცირებლად. წვეთოვანი მილები არის კომპენსირებადი, რაც იმას ნიშნავს რომ ყველა საწვეთურიდან წვეთავს ერთნაირი რაოდენობის წყალი, რათა არ მოხდეს მცენარეების სხვადასხვა დოზით მორწყვა.

6. საქმიანობისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსები

დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესისათვის ერთ-ერთ აუცილებელ რესურსს წარმოადგენს წყალი, რომელსაც ავიღებთ ჩვენი ნაკვეთზე არსებული **ჭაბურღილიდან X-738432, Y-4639406**; ზრდასრული ნერგის შემთხვევაში დღე-ღამეში მორწყვისთვის, მთელს ფართობზე წყლის მაქსიმალურ რაოდენობად განისაზღვრა **175 მ³**-ს. წყალი. ლურჯი მოცვის სარწყავი წყალი აუცილებელია იყოს რბილი რაც ნიშნავს იმას, რომ მასში მარილების შემცველობა უნდა იყოს დაბალი, რაც იზომება ელექტრო გამტარიანობით, რისი პროცენტული მაჩვენებელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 %-ს. ჩვენი ჭაბურღილის წყლის ელექტრო გამტარიანობა ანალიზის მიხედვით არის 0.5% და შესაბამისად ის სავსებით შეესაბამება ლურჯი მოცვის სარწყავი წყლის მოთხოვნებს.

7. დაშორება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან

პლანტაციის გარშემო ტერიტორია არ არის ინტენსიურად დასახლებული, ის ძირითადად შედგება აგრო მასივებისგან, ხოლო უახლოესი მოსახლე დაშორებულია ჩვენი პლანტაციიდან **125** მ მანძილზე, რაც არის საკმარისზე ბევრად მეტი იმისათვის რომ ჩვენი პლანტაციაში მიმდინარე აგრო ოპერაციებმა არ მოახდინოს რაიმე ზეგავლენა ნებისმიერ მოსახლეზე.

8. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

წვეთოვანი სარწყავი ქსელის მეშვეობით მცენარეებს სისტემატურად მიეწოდება საჭირო რაოდენობის წყალი, რომელსაც მცენარე ვერ იღებს ნალექებით. წვეთოვანი მორწყვის სისტემის

გამოყენებისას, წყალი მცენარეებს მიეწოდება ფესვებთან ახლოს, წვეთების სახით სპეციალურად გაყვანილი მრავალჯერადი გამოყენების პოლიმერული მილებით. მუნიციპალიტეტის კლიმატური პირობების, კერძოდ კი იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტის გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, ნოლის ტოლია, სარწყავი სისტემის მოსაწყობად ღრმა ტრანშეების გაყვანა საჭირო არ იქნება.

9. საქმიანობისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსები

დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესისათვის ერთ-ერთ აუცილებელ რესურსს წარმოადგენს წყალი, რომლსაც ამოვიღებთ ჭაბურღილიდან, ზრდასრული ნერგის შემთხვევაში დღე-ღამეში მორწყვისთვის წყლის მაქსიმალურ რაოდენობად განისაზღვრა 175 მ³-ს.წყალი.

თვე	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	სულ
ჭაბურღილიდან ამოსაღები წყლის რაოდენობა მ. კუბ	1750	3500	5250	7000	7000	5250	3500	1750	35000

გამოსაყენებელი წყლის მოცულობა: - წლიური ჯამი შეადგენს **35000** კუბურ მეტრს.

10. ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე - ნიადაგის დაცვის კუთხით, წარმოქმნილი საქმიანობის შედეგად არ არსებობს რისკფაქტორები, ვინაიდან სარწყავი სისტემის მოწყობის დროს მაგისტრალური და დამხმარე მილები ჩალაგებული იქნება 50 სმ სიღრმის ტრანშეაში, გათხრილი ტრანშეიდან ამოღებული მიწის მასა, მას შემდეგ რაც მოხდება მასში ზემოთ აღნიშნული მილების ჩალაგება, იქნება ჩაყრილი ისევ იმ ტრანშეაში საიდანაც მოხდება მისი ამოღება. ჩაყრის მეთოდი განისაზღვრა შემდეგნაირად: ამოთხრილი მიწის ზედა ფენა (30 სმ) ე.წ. ჰუმუსოვანი ფენა დაიყრება განცალკევებით ქვედა ფენისგან. ტრანშეაში მილის ჩადების შემდეგ ჩაიყრება ჯერ ქვედა ფენა, ხოლო ზემოთ დაეყრება ამოთხრისას (30ს სმ) დან ამოღებული მიწის ფენა - ჰუმუსი. ამ მეთოდით სამუშაოების წარმართვის შედეგად მიწის ნაყოფიერი ფენის გაუვარგისება-დეგრადირება არ არის მოსალოდნელი. აღნიშნული სამუშაოებისათვის მოხდება ოთხბორბლიანი ექსკავატორის გამოყენება 15 დღით.

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სხვა ბუნებრივი რესურსის გამოყენება არ იგეგმება. საქმიანობის პროცესში გამოყენებული წყლების ჩაშვება წყალსატევებში არ იგეგმება. ფერტიგაციის პროცესის წარმართვის დროს გახარჯული სასუქების და პესტიციდების ტარის შენახვა მოხდება სპეციალურ სახიფათო ნარჩენების საწყობში და გარკვეული რაოდენობის დაგროვების შემდეგ მოხდება ლიცენზირებული კომპანიის დაქირავება და მისთვის გადაცემა აღნიშნული ნარჩენების, ხოლო ფერტიგაციის რეზერვუარების გამოწვევები წყალი ისევ გაეშვება წვეთოვან სისტემაში. გამოყენებული ელექტრო ტუმბოს მცირე სიმძლავრის გამო, რაც შეადგენს 16 კვტ. არ არსებობს გარემოზე ვიბრაციით და ხმაურით ზემოქმედების საფრთხე მითუმეტეს რომ,

ჭაბურღლის წყლის ტუმბო არის ჩადებული წყალში და მისი მუშაობისას ხმაური საერთოდ არ გამოვა.

საპროექტო ტერიტორია უახლოესი მოსახლე პუნქტიდან **125** მ დაშორებით მდებარეობს. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსახლეობაზე რაიმე სახის ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. ასევე არ ექნება ადგილი საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევებს.

11. ფლორა და ფაუნა - ისპანი II (ქობულეთის ალკვეთილი) მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური პერკოლაციური გუმბათისებრი ჭაობია, რომელიც მხოლოდ წვიმის წყლით საზრდოობს. ჭაობის საერთო ფონს ტორფის ხავსები ქმნიან : სფაგნუმის სახეობები, ე.წ. "იმერული ისლი", თეთრი რინხოსპორა, კავკასიური რინხოსპორა, ტორფის ისლი, წყლის სამყურა, მრგვალფოთოლა დროზერა და ზოგიერთი სხვა. ამ მცენარეთა უმეტესობა ჩრდილოური (ბორეალური) წარმოშობისაა მათ კოლხეთში მეოთხეული პერიოდის გამყინვარების ეპოქებში შემოადწიეს. აქაურ ტორფიან ჭაობებში იზრდებიან კოლხური მცენარეები: შქერი, იელი, ეკალიჭი და სხვ. ქობულეთის დაცული ტერიტორიები წყლის გადამფრენ ფრინველთა სახეობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ეს ადგილები განსაკუთრებულად მდიდარია მცენარეთა სახეობებით. ძუძუმწოვრებიდან აქ ბინადრობენ: ტურა, წავი, ლელიანის კატა, მაჩვი, ნუტრია. კურდღელი, ბუჩქნარის მემინდვრია, მინდვრის თაგვი და სხვა. ამფიბიებიდან: კასპისა და ჭაობის კუ, ჩვეულებრივი გომბემო, მწევანე ბაყაყი, ჩვეულებრივი ვასაკა და სხვა, ხოლო რეპტილიებიდან კი - წყლის ანკარა, ჩვეულებრივი ანკარა, ბოხმეწა, გველხოკერა, ზოლიანი ხვლიკი, ჩვეულებრივი ტრიტონი და სხვა. თევზებიდან არხებში ქარიყლაპია, კარასი, ქორჭილა და მდინარის გველთევზა გვხვდება.

იშვიათ და გადაშენების პირას მყოფი ცხოველებიდან აღსანიშნავია წავი (*Lutra lutra*). რაც შეეხება ფრინველებს აქ მრავლად ვხვდებით, როგორც საქართველოს „წითელ ნუსხაშია“ შეტანილი (5 სახეობა: შავი ყარყატი; მცირე კირკიტა; ბუჩქობის არწივი; თეთრკუდა არწივი, დიდი მყივანა არწივი), ასევე ევროპის მასშტაბით (28 სახეობა) იშვიათ და გადაშენების პირას მყოფ სახეობებს, ასეთებია: ოქროსფერი კვირიონი, ალკუნ, მცირე ჩვამა, ყვითელი ყანჩა, ივეოსი, შავი ყარყატი და სხვ.

გარდა ამისა, აქ გლობალური საფრთხის წინაშე მყოფი ფრინველების 7 სახეობაა წარმოდგენილი, მაგალითად: ველის ძელქორი, მცირე კირკიტა, ველის პრანჭია, დიდი ჩიბუხა, ღალღა და სხვ.

12. დაგეგმილი საქმიანობის ფაუნისტური დახასიათება -

პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მრავალწლიანი ხე-მცენარეების ჭრას. ტერიტორიაზე წარმოდგენილია ერთეული ბუჩქოვანი მცენარეები და დეგრადირებული ბალახოვანი საფარი. მათგან არცერთი არ წარმოადგენს საკონსერვაციო თუ რაიმე სხვა სახის ღირებულ სახეობას. ბუჩქოვანი მცენარეები განთავსებულია მიწის ნაკვეთის საზღვარზე და ცოცხალ ღობეს ქმნის. დაგეგმილი საქმიანობისას მათი მოჭრა არ იგეგმება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შესაბამისად, ამ მხრივ ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც უმნიშვნელო. იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიები ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებით, ცხოველთა ველური ბუნების სახეობების საბინადრო ჰაბიტატები პრაქტიკულად არ არსებობს შესაბამისად ამ ტერიტორიაზე ბუნებრივად მზარდი და მცხოვრები ცოცხალი ორგანიზმები არ ფიქსირდება

13. ნარჩენების მართვა საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები ეს იქნება გამოყენებული სასუქების და ქიმიკატების ტარა, რომლებიც დაგროვდება სპეციალურ სახიფათო ნარჩენების საწყობში და გარკვეული რაოდენობის მიღწევის შემდეგ, მოხდება ნარჩენების უტილიზაციის ლიცენზირებული კომპანიის დაქირავება და მათზე გადაცემა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა კი მოხდება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

14. **ჩამდინარე წყლები** - საწარმოს საქმიანობის პროცესში არ არის მოსალოდნელი ჩამდინარე წყლების წარმოქმნა, შესაბამისად გამოყენებული წყლების(ჩამდინარე წყლების) ჩაშვება წყლის ობიექტებში არ იგეგმება.

15. **ხმაური და ვიბრაცია** - დაგეგმილი საქმიანობისას გამოყენებული ელექტრო ტუმბოს მცირე სიმძლავრის გამო არ არსებობს გარემოზე ვიბრაციით და ხმაურით ზემოქმედების საფრთხე, ხოლო ჭაბურღილის ტუმბოები არის ჩადებილი მთლიანად წყალში და ხმაური საერთოდ არ გამოდის.

16. **მიმდებარე რეციპიენტებზე ზემოქმედება** - პლანტაციიდან უახლოესი მოსახლის სახლი 125 მ-ში მდებარეობს, რის გამოც საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსახლეობაზე რაიმე სახის ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. ასევე არ ექნება ადგილი საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევებს.


17. **ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე** - რეგიონი მდიდარია კულტურული, ისტორიული ღირსშესანიშნაობებით. რეგიონში მრავლადაა ეკლესია-მონასტრები, არამატერიალური კულტურული ძეგლები. გარდა ამისა რეგიონი წარმოადგენს ტურისტულად დატვირთულ რეგიონს. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები პლანტაციის ტერიტორიის ზონაში და მის სიახლოვეს 1კმ-ში არ გვხვდება, რაც გამორიცხავს ისტორიულ-კულტურულ გარემოზე ზეგავლენას.

საქმიანობის პროცესში მომსახურე პერსონალის და სხვა ადამიანებზე, მათ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. პლანტაციის არსებობა დადებითად აისახება სოფლის სოციალურ გარემოზე რადგან გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას. გარდა ამისა, ახლად გაშენებული ბაღი დადებითად იმოქმედებს ეკოსისტემის გაჯანსაღებაზე.

სარწყავი სისტემის მოწყობა მიმდინარეობს ამჟამად, ხოლო მისი ექსპლოატაცია არ მოხდება სქრინინგის გადაწყვეტილების მიღებამდე.


მოცვის პლანტაციის უფლებამოსილი პირი ადასტურებს სქრინინგში არსებული ინფორმაციის სისწორეს :

პატივისცემით
დირექტორი - ზურაბ დუმბაძე, 61003001790





27/09/2023

დანართი 1 - მთლიანი ბადის სიტუაციური რუკა




პირობითი აღნიშვნები

-  - ნაკვეთის საკადასტრო ნითელი ხაზი
-  - საავტომობილო გზა

-  - მდინარე
-  - ხიდი

მ. 1:20 000


WGS 84 / UTM zone 37N



პატივისცემით
დირექტორი - ზურაბ დუმბაძე, 61003001790

27/09/2023

დანართ 2 (წყალაღების წერტილიდან საპროექტო ხაზობრივი ნაგებობის დერეფნის სიტუაციური რუკა);



- მაგისტრალური მილები 900 მ.
- დამხმარე მილები 450 მ.

მასშტაბი 1: 8000

პატივისცემით
დირექტორი - ზურაბ დუმბაძე, 61003001790

27/09/2023